საქართველოს იუსტიციის
მინისტრის ბრძანება №48
2000 წლის 18 აპრილის

ქ. თბილისი

ნოტარიუსთა სამსახურებრივი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 3 მაისის კანონის 14-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ნოტარიუსთა სამსახურებრივი მოწმობის ფორმა თანდართული ნიმუშის მიხედვით:

ა) ნოტარიუსის სამსახურებრივი მოწმობა შესრულებულია A 5 ფორმატის ქაღალდის გამოყენებით. მოწმობა ერთგვერდიანია, ზომით 28 სმ X 19,5 სმ (ცდომილება ± 0, 1 ან 2 მმ); შეიცავს 2 (ორ) ძირითად დამცავ ნიშანს: ბორჯღალსა და „ნოტარიუსთა პალატის“ წარწერას. მოწმობის ფერია ცისფერი, 100%-დან 0%-მდე გრადაციით. მოწმობის დასახელება და სატიტულო გვერდზე სიტყვა „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო“ შესრულებულია შავი ფერით.

2. დამტკიცდეს ნოტარიუსთა სამსახურებრივი მოწმობების დასამზადებელი ქაღალდის ნიმუში. ქაღალდის სიმკვრივეა 32 გ/მ^2.

ჯ. ხეცურიანი



საქართველოს
იუსტიციის სამინისტრო

ნოტარიუსის სამსახურებრივი

მოწმობა №

„ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის - - - - - - წ. „ - - - " „ - - - - " № § ბრძანებით

(სახელი გვარი)

დანიშნულია ნოტარიუსის თანამდებობაზე.

სამსახურებრივი მოწმობა რეგისტრირებულია საქართველოს ნოტარიუსთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში №

„ნოტარიატის შესახებ" კანონის 41-ე მუხლის „ბ-ვ" პუნქტებით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსს განესაზღვრა სამუშაო უბანი:

ქალაქი (რაიონი)

მინისტრი **(სახელი გვარი)**

ბ.ა. (თარიღი)